# საქპატენტი
# SAKPATENTI

# 2003

## წლიური ანგარიში
## ANNUAL REPORT

საქართველოს
ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი

GEORGIAN
NATIONAL INTELLECTUAL
PROPERTY CENTER

„საქპატენტი"

„SAKPATENTI"

საქართველოს
ინტელექტუალური
საკუთრების
ეროვნული ცენტრი

GEORGIAN NATIONAL
INTELLECTUAL
PROPERTY
CENTER

# წლიური ანგარიში 2003

# ANNUAL REPORT 2003

თბილისი
2003

## შინაარსი

## CONTENTS


| | |
|---|---|
| საერთაშორისო თანამშრომლობა<br>INTERNATIONAL COOPERATION | 4 |
| საპატენტო-საინფორმაციო საქმიანობა<br>PATENT INFORMATION ACTIVITY | 6 |
| საქმიანობის ავტომატიზება<br>AUTOMATION | 10 |
| სტატისტიკური მონაცემები<br>STATISTICAL DATA | 13 |
| გამოგონებები<br>INVENTIONS | 18 |
| სასარგებლო მოდელები<br>UTILITY MODELS | 18 |
| სამრეწველო ნიმუშები<br>INDUSTRIAL DESIGNS | 19 |
| სასაქონლო ნიშნები<br>TRADEMARKS | 19 |

# 1
# საერთაშორისო თანამშრომლობა

**ᲘᲡᲛᲝ**-სა და ევროპის საპატენტო უწყების ხელშეწყობით „საქპატენტის“ სპეციალისტებს საშუალება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა სემინარისა და კონფერენციის მუშაობაში.

2003 წლის 9-11 ივლისს ქალაქ სანფრანცისკოში გაიმართა მსოფლიო სიმპოზიუმი გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ, რომლის განხილვის ერთ-ერთი ძირითადი საგანი იყო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში გეოგრაფიული აღნიშვნების ერთიანი გლობალური რეესტრის შექმნა და ღვინოსა და სპირტიან სასმელებთან ერთად საერთაშორისო დაცვის გავრცელება სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებზეც.

„საქპატენტის“ წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ დისკუსიაში და კიდევ ერთხელ დაეფიქსირებიათ საქართველოს მხარდაჭერა ერთიანი გლობალური რეესტრის შექმნის იდეისადმი, რომელსაც აქტიურად ლობირებს ევროკავშირი და სხვა ქვეყნები.

„საქპატენტის“ ექსპერტებს კვლავ ჰქონდათ საშუალება გამოცდილება გაეზიარებინათ თავისი უცხოელი კოლეგებისათვის და გაცნობოდნენ უახლეს მიღწევებს საპატენტო ძიებისა და ექსპერტიზის დარგში. ამ მხრივ აღსანიშნავია ევროპის საპატენტო უწყების დახმარება, რამაც საშუალება მისცა ჩვენს ექსპერტებს სტაჟირება გაევლოთ სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე.

„სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების შესახებ“ ჰააგის შეთანხმებასთან საქართველოს მიერთებასთან დაკავშირებით, „საქპატენტის“ ექსპერტები გაეცვნენ მოლდოველი კოლეგების გამოცდილებას, რომლებიც უკვე რამდენიმე წელია ამ შეთანხმების მონაწილენი არიან.

„საქაპტენტის“ წარმომადგენლები ასევე აქტიურად მონაწილეობენ **ᲘᲡᲛᲝ**-ს კომიტეტში მიმდინარე განხილვებში ახალი საერთაშორისო შეთანხმების პროექტის მომზადების თაობაზე, რომელიც ეხება აუდიოვიზუალურ ნაწარმოებებს. 2003 წლის ივნისში **ᲘᲡᲛᲝ**-სა და რუსეთის საპატენტო უწყების მიერ ქ. მოსკოვში გაიმართა ფორუმი გენეტიკური რესურსების, ტრადიციული ცოდნისა და

# 1
# INTERNATIONAL COOPERATION

With the support of WIPO and the European Patent Office specialists of Sakpatenti were able to participate in the work of different seminars and conferences.

On July 9-11, 2003 in San Francisco was held the World Symposium on Geographical Indications one of the issues of which was creation of Uniform Global Register of Geographical Indications in the scope of the World Trade Organization and together with wine and spirits extension of the international protection on the other agricultural products.

Representatives of Skapatenti were able to participate in the discussion and fix once more support of Georgia for the idea of creation of the Uniform Global Register lobbed actively by the European Union and the other countries.

Examiners of Sakpatenti had one more possibility to share experience with their foreign colleagues and familiarize with the up-to-date achievements in the field of patent search and examination. From this point of view, the assistance of the European Patent Office that enabled our examiners to work on probation in respect of different actual issues should be marked.

In connection with the accession of Georgia to the Hague Agreement Concerning International Deposit of Industrial Designs, examiners of Sakpatenti familiarized themselves with experience of their colleagues from Moldova that has been a party of this Agreement for several years.

Representatives of Sakpatenti also participate actively in the discussions of the WIPO Committee concerning preparation of the new draft of the international agreement on audio-visual works.

In June 2003, WIPO and the Russian Patent Office organized in Moscow the Forum on the



საპატენტო უწყებათა ხელმძღვანელების შეხვედრა. მიუნხენი 2003 წლის დეკემბერი. მოლდოვას სამრეწველო საკუთრების დაცვის სახელმწიფო სააგენტოს გენერალური დირექტორი ბ-ნი ნიკოლაი ტარანი, ყირგიზეთის მეცნიერებისა და ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი ბ-ნი რომან ომოროვი, ბ-ნი დავით გაბუნია და ევრაზიის საპატენტო ორგანიზაციის პრეზიდენტი ალექსანდრე გრიგორიევი.

Meeting of the Heads of IP Offices, Munich, December 2003. Mr. Nikolai Taran, Director General of the Industrial Property Protection Agency of Moldova, Mr. Roman Omorov, Director of the Science and Intellectual Property State Agency of Kyrgyzstan, Dr. David Gabunia and Mr. Alexander Griogoriev, President of Eurasian Patent Organization.

ფოლკლორის დაცვის საკითხებზე. უნდა აღინიშნოს, რომ **ისმო**-სათვის ეს საქმიანობის ახალი მიმართულებაა და ბოლო წლებში ამ საკითხების განხილვას განსაკუთრებული ყურდღება ეთმობა.

რამდენიმე სემინარი გაიმართა აგრეთვე უფლებების განხორციელების, საპატენტო უწყებების სააპელაციო პალატაში განხილული საქმეებისა და სასამართლო პრაქტიკის შესახებ, სადაც „საქპატენტის" იურისტებს გამოცდილება გაუზიარეს სხვადასხვა ქვეყნის მოსამართლეებმა და ამ დარგის ცნობილმა სპეციალისტებმა.

2003 წლის სექტემბერში გაიმართა **ისმო**-ს წევრი სახელმწიფოების ასამბლეის სხდომის 39-ე სესია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 179 სახელმწიფომ, მათ შორის საქართველომ.

ასამბლეის განხილვის საგანს წარმოადგენდა: აუდიოვიზუალური ნაწარმოებების შესრულებების დაცვასთან დაკავშირებული დიპლომატიური კონფერენციის მიმდინარეობა, საერთაშორისო საპატენტო სისტემის სრულყოფის ამოცანები, ინტერნეტში დომენების დსახელებების რეგისტრაცია და სხვა. ასამბლეამ დაამტკიცა **ისმო**-ს 2004-2005 წლების პროგრამა და ბიუჯეტი.

ასამბლეაზე სიტყვით გამოვიდა „საქპატენტის" გენერალური დირექტორი დავით გაბუნია. მან შეაფასა **ისმო**-ს საქმიანობა 2003 წელს, გააშუქა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მდგომარეობა საქართველოში და შეეხო **ისმო**-სა და საქართველოს შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გაფართოების საკითხებს.

issues of genetic resources, traditional knowledge and folklore. It should be marked that this activity is a new direction for WIPO and for the last years the special attention is paid to discussion of these issues.

Several seminars were held on the issues of enforcement, cases considered by the chamber of appeals of the patent offices and court practice, where the judges of different countries and prominent specialist of the field shared experience with the lawyers of Sakpatenti.

In September 2003 39th session of the WIPO Member States Assembly was held in the work of which 179 states took part, amongst – Georgia.

The subject of discussion of the Assembly was as follows: Diplomatic Conference concerning the protection of performances of audiovisual works, objectives of perfection of the international patent system, registration of domain names in the Internet, etc. The Assembly approved the 2004-2005 Program of WIPO and budget.

Dr. David Gabunia Director General of Sakpatenti addressed the Assembly. He evaluated the activities of WIPO in 2003, covered the situation of the intellectual property protection in Georgia and the issues of increasing cooperation of WIPO and Georgia in different fields.

## 2
## საპატენტო-საინფორმაციო საქმიანობა

ბოლო წლებში **ისმო**-ს საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება გახდა ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ცოდნის გავრცელება და საზოგადოებაში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში უფლებების დაცვის მნიშვნელობის გაცნობიერების ხელშეწყობა. ეს საკითხები არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენს ქვეყანაში და მათი გადაწყვეტის მიზნით 2003 წელს საქპატენტმა განახორციელა რიგი ღონისძიებებისა.

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გამოიცეს სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ინტელექტუალური საკუთრება“ ქართულ ენაზე, რომელიც მოწოდებულია გააშუქოს ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების ფართო სპექტრი, ხელი შეუწყოს საქართველოში ამ სფეროს სამართლებრივი და ინსტიტუციონალური მექანიზმების განვითარებასა და სრულყოფას. ჟურნალი აწვდის მკითხველს ვრცელ ინფორმაციას მიმდინარე პროცესებისა და მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, აცნობს საზოგადოებრიობას მოქმედ ეროვნულ კანონებს, საერთაშორისო შეთანხმებებს, იძლევა კომენტარებს მათ შესახებ, აქვეყნებს ახალი საკანონმდებლო აქტების ტექსტებს, მათში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტებს. ჟურნალი იწვევს ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებულ სპეციალისტებს: იურისტებს, ეკონომისტებს, გამომგონებლებს, მეცნიერებს, ხელოვნების მოღვაწეებსა და საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, გამოაქვეყნონ თავიანთი სტატიები. ჟურნალის ფურცლები ღიაა დისკუსიისათვის. აღნიშნული გამოცემისადმი დიდი ინტერესისა და მის შესახებ დადებითი გამოხმაურების გათვალისწინებით, ვიმედოვნებთ, რომ დაჩქარდება ინტელექტუალური საკუთრების ფუძემდებლურ პრინციპებზე საზოგადოების გაცნობიერება. ჟურნალის მთელი ტირაჟი უსასყიდლოდ ვრცელდება როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფერ-

## 2
## PATENT-INFORMATION ACTIVITIES

During the last years one of the main directions of the WIPO activities became dissemination of the intellectual property knowledge and promotion of awareness of the public in relation to the significance of intellectual property rights protection. These issues are equally important in our country and for solving them in 2003 number of arrangements were performed by Sakpatenti.

In the first place, it is remarkable that the decision was taken to publish a scientific-practical periodical “Intellectual Property” in the Georgian language intended to cover a wide range of the issues related to the intellectual property, to further development and perfection of the legal and institutional mechanisms of the field in Georgia. Journal supplies the reader with broad information on current processes and important events in the field of intellectual property, familiarizes the public with the national legislation in force, international agreements with comments thereof, publishes the texts of the new legislative acts, draft amendments and additions. Journal invites to publish their articles specialists connected with different aspects of intellectual property: lawyers, economists, inventors, scientists, art workers and representatives of business circles. Pages of the journal are open for discussions. Taking into account the great interest in the mentioned publication and the positive report, we hope that awareness of the public in the fundamental principles of intellectual property shall be accelerated. Edition is distributed free of charge in the territory of Georgia, as well as abroad.

In order to draw attention of the public towards qualitative education in the field of intellectual property in May 2003 the national seminar was held dedicated to the issues of education in the field. The seminar was orga-

ოში ხარისხიანი განათლების მნიშვნელობისადმი საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მიზნით 2003 წ. მაისში ჩატარდა ეროვნული სემინარი ამ სფეროში სწავლების საკითხებზე. სემინარი ორგანიზებული იყო **ისმო**-ს მსოფლიო აკადემიისა და საქპატენტის მიერ მომავალი სამასწავლებლო კადრების ფართო წრისათვის, და დიდი წარმატებით ჩაიარა. მან ბიძგი მისცა დისტანციური განათლების განვითარებას. **ისმო**-ს მსოფლიო აკადემიის დიპლომის უკვე მქონე ორ თანამშრომელს დაემატა კიდევ ექვსი. სამომავლოდ იგეგმება, რომ განათლების მიღებისა და პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაღრმავების ამ სახეობამ მოიცვას თანამშრომელთა დიდი ნაწილი.

ინტელექტუალური საკუთრების დღე, 26 აპრილი, რომელიც აღინიშნა ლოზუნგით: „გადააქციეთ ინტელექტუალური საკუთრება თქვენს საქმედ”, გახდა კიდევ ერთი საშუალება საზოგადოების ყურადღების მისაქცევად ინტელექტუალური საკუთრების დაცვის როლისათვის ადამიანების ჰარმონიული, შემოქმედებითი, ჯანსაღი არსებობის ატმოსფეროს შესაქმნელად მთელს მსოფლიოში. ამ თარიღამდე 2 კვირით ადრე ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდის: http://www.sakpatenti.org.ge ქართულ ნაწილზე მოთავსებულ იქნა ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით, ასევე, **ისმო**-ს გენერალური დირექტორის კ. იდრისის საზოგადოებისადმი მიმართვის ტექსტი. ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნდა სტატიები დღესასწაულის ისტორიისა და საგამომგონებლო საქმიანობის საკითხების შესახებ.

ინტელექტუალური საკუთრების დღესთან დაკავშირებით „საქპატენტმა“ გამოსცა წიგნი ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრირებულ და მოღვაწე ქართველ მეწარმეთა და გამომგონებელთა შესახებ, რომლის ავტორია რუსუდან დაუშვილი.

„საქპატენტში“ ტრადიციად იქცა ინტელექტუალური საკუთრების დღის, 26 აპრილის, საქართველოს ყველა აქტიური გამომგონებლისათვის მილოცვა მათ მიერ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილის დაფასების ნიშნად.

უწყება დიდ ყურადღებას უთმობს ბიბლიოთეკის მუდმივ განვითარებასა და მისი ტექნიკური საშუალებების მოდერნიზაციას. იგი უსასყიდლოდ ემსახურება როგორც თავის, ისე გარეშე მომხმარებლებს, გზავნის ოფიციალურ ბიულეტენს ქაღალდისა და მანქანაკითხვად მატარებლებზე (CD-ROM), წლიურ ანგარიშებს, სამეცნიერო-ტექნიკურ ჟურნალს „ინტელექტუალური საკუთრება“ სავალდებულო მისამართებზე საქართველოს ტერიტორიასა და ახლო და შორეულ საზღვარგარეთ-

nized by the WIPO Worldwide Academy and Sakpatenti for the wide cadres of future teachers and had a great success. It gave a stimulus to the development of distance learning. Two staff members of Sakpatenti that already had the Diploma of the WIPO Worldwide Academy were joined by – six.  For future it is expected that a large number of staff members shall be involved in this method of receiving training and deepening the professional skills.

April 26 - the day of intellectual property, the motto of this year’s observance of which was “Making intellectual property your business” became one more means to draw attention of the public to the role of intellectual property in creation of harmonious, creative and healthy existence of humans in the whole world. Two weeks before the date on the Georgian of the web site: www.sakpatenti.org.ge of the National Intellectual Property Center an information related to celebration of the intellectual property day was placed, as well as the text of the message to the public of the Director General of WIPO, Dr. Kamil Idris. The central press published articles on the history of the celebration and the issues of invention activities.

In connection with the intellectual property day Sakpatenti published a book dedicated to the Georgian entrepreneurs and inventors that have emigrated to and work in the United States of America.

It has become a tradition in Sakpatenti to congratulate with the intellectual property day – April 26 to every active inventor to mark their contribution in development of science and technology.

The Office pays great attention to continued development of the Library and to modernization of its technical facilities. The Library serves free of charge its inner as well as outer users, sends the Official Bulletin on paper and machine-readable carriers (CD-ROMs), annual reports, scientific-technical journal “Intellectual Property” to the obligatory addresses in the territory of Georgia and near and far foreign countries under the agreements concerning the exchange of the patent documentation.

During 2003 the Library performed free of charge 150 orders on selection of full texts of inventions. Staff members of the Library participate constantly in formation of the information stands at holding Sakpatenti seminars

ში საპატენტო დოკუმენტაციის გაცვლის შესახებ შეთანხმების მიხედვით.

2003 წ. განმავლობაში ბიბლიოთეკამ უსასყიდლოდ შეასრულა გამოგონებათა სრული აღწერილობების შერჩევის 150 შეკვეთა. ბიბლიოთეკის თანამშრომლები ყოველთვის მონაწილეობენ საინფორმაციო სტენდების ფორმირებაში საქპატენტის სემინარებისა და სხვა ღონისძიებების ჩატარებისას. ისევე როგორც წინა წლებში, გრძელდება საპატენტო დოკუმენტაციის ფონდების შემდეგი კოლექციების დაკომპლექტება DVD და CD-ROM დისკებზე: Espace-World, Espace EP-A, Espace-Europe, USAPAT, Casiss, PAJ, GlobalPat, Espace-Access, Espace-Bulletin, Espace-Preces, Patents of Russia, Espace AT, Jopal, Canada, Romarin, BREF, Cosmos INPI Patents, Europe and PCT Gazette, Iplex. 2003 წ. 31 დეკემბრისათვის მათმა საერთო რაოდენობამ შეადგინა 6 120 ერთეული.

ევროპის საპატენტო უწყების (EPO) ფინანსური მხარდაჭერით „საქპატენტი" ავსებს თავის ფონდებს პერიოდული გამოცემებით პატენტების, სასაქონლო ნიშნების, საავტორო სამართლისა და ა.შ. შესახებ. საქპატენტი აქტიურად იძენს ცნობილი სპეციალისტების წიგნებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში შემდეგი გამომცემლობების მეშვეობით: Manual Industrial Property BV, Sweet&Maxwell, LexisNexis-Butterworths Tolley, Oxford University Press, Cambridge University Press, Kluwer Law International. ეს უწყების თანამშრომლების პროფესიული დონის ამაღლების შესაძლებლობას იძლევა. ამავე მიზანს ემსახურება „საქპატენტში" საპატენტო საქმიანობის აქტუალური საკითხების შესახებ სემინარების ჩატარების მუდმივად მოქმედი სისტემაც.

9 თანამშრომელი მონაწილეობდა ევროპის საპატენტო უწყების აკადემიის მიერ ორგანიზებულ სემინარებში.

14 თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა **ᲘᲡᲛᲝ**-ს კომიტეტების სესიებში, ასამბლეასა და სხვა საერთაშორისო ღონისძიებებში. ყოველწლიურად იზრდება ექსპერტთა კვალიფიკაციის დონე და შესაბამისად, გამოყენებული დოკუმენტაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის სახეობები და მოცულობა. ექსპერტები ინტენსიურად სარგებლობენ ინტერნეტში არსებული ევროპის, აშშ-ს, რუსეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების საპატენტო ბაზებით. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალებიდან სტატიების მოსაძიებლად მიმართავენ კომერციულ ბაზებს STN (FIZ AUTODOC). ფართოდ გამოიყენება კომერციული ბაზა Delphion.

ცენტრის თანამშრომლები ეწევიან აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობას. დაწყებულია მუშ-

and other events. Similarly with the past years acquisition of the following patent documentation collections on CD-ROMs and DVD disks were continued: Espace-World, Espace EP-A, Espace-Europe, USAPAT, Casiss, PAJ, GlobalPat, Espace-Access, Espace-Bulletin, Espace-Precess, Patents of Russia, Esoace AT, Jopal, Canada, Romarin, Cosmos INPI Patents, Europe and PCT Gazette, Iplex. For December 31, 2003 their total amount made 6 120 units.

With the financial support of the European Patent Office (EPO) Sakpatenti completes its collections with periodicals concerning patents, trademarks, copyright law, etc. Sakpatenti purchases actively books of the famous specialists in the field of intellectual property through the following publishers: Manual Industrial Property BV, Sweet&Maxwell, LexisNexis-Butterworths Tolley, Oxford University Press, Cambridge University Press, Kluwer Law International. This enables to increase the professional level of the Office staff members. To this purpose serves as well the constantly acting system of holding seminars on actual issues of intellectual property.

9 staff members participated in the seminars organized by the European Patent Office Academy.

14 staff members participated in the sessions, assemblies and other international events of the WIPO Committees. Qualification of the examiners increases each year and respectively kinds and volume of the documentation and scientific-technical literature used. Examiners use intensively patent databases of Europe, the United States, Russia, South-East Asian countries in the Internet. For search of the articles from the scientific-technical journals they apply to the commercial bases STN (FIZ AUTODOC). The commercial database Delphion was used widely.

Staff members of the Center carry out active translation activities. The work on translation of the International Patent Classification, International Classification of Goods and Services and other international agreements has begun.

In 2003 24 bulletins were published each of which is placed immediately on the web site of the Office: www.sakpatenti.org.ge, for opposition of the third parties during three months. Thus, on the web site three issues of the Official Bulletin are always available. Past

აობა საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის, საქონლისა და მომსახურებების საერთაშორისო კლასიფიკაციისა და ზოგიერთი სხვა საერთაშორისო შეთანხმების თარგმნაზე.

2003 წ. გამოიცა 24 ბიულეტენი, რომელთაგან თითოეული დაუყოვნებლივ თავსდება უწყების ვებ-გვერდზე: http://www.sakpatenti.org.ge, მესამე პირთა მიერ 3 თვის განმავლობაში შედავების შესაძლებლობისათვის. ამგვარად, ვებ-გვერდზე ყოველთვის ხელმისაწვდომია ოფიციალური ბიულეტენის სამი ნომერი. გასულ წელს გამოიცა 290 გამოგონებისა და 99 სასარგებლო მოდელის სრული აღწერილობა.

სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების ჰააგის შეთანხმებასთან მიერთებასთან დაკავშირებით გამოგონებებისა და სამრეწველო ნიმუშების ექსპერტიზის დეპარტამენტმა დაიწყო სამრეწველო ნიმუშებზე საერთაშორისო რეგისტრაციების მიღება.

დაინტერესებულ პირთათვის მოხერხებულობის მიზნით „საქპატენტმა“ მიიღო გადაწყვეტილება გამოაქვეყნოს სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციების მასალები ოფიციალურ ბიულეტენში, როგორც ეს ხდება სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციებისას, რომლებიც შედიან საქართველოში მადრიდის შეთანხმების პროტოკოლის შესაბამისად.

ისევე როგორც წინა წლებში, **ისმო**-სთვის მომზადდა წლიური სტატისტიკური და ტექნიკური ანგარიშები, რიგი კითხვარებისა და ანკეტებისა ცენტრის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის შესახებ.

„საქპატენტი“ სათანადო ყურადღებას უთმობს საზოგადოებრიობასთან ურთიერთობას. სემინარებისა და ღონისძიებების ჩატარება ყოველთვის შუქდება მედიის საშუალებებში. უწყების წამყვანი სპეციალისტები გამოდიან რადიოთი და ტელევიზიით ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხებზე, მონაწილეობენ დისკუსიებსა და დებატებში.

year full texts of 290 inventions and 99 utility models were issued.

In connection with the accession to the Hague Agreement of Concerning the International Deposit of Industrial Designs, the Department of Examination of Inventions and Industrial Designs began to receive international registrations.

For convenience of the parties concerned Sakpatenti decided to publish materials of the international registration of industrial designs in the Official Bulletin, as in the case of international registration of trademarks under the Madrid Protocol Agreement.

As in the previous years, for WIPO annual statistical and technical reports, number of questionnaires and forms concerning different aspects of the Center activities were prepared.

Sakpatenti pays relevant attention to the relations with public. Seminars and other events are always covered by mass media. Leading specialists of the Office give a broadcast talk and appear on television in connection with the issues of intellectual property protection, participate in the discussions and debates.

## 3
## საქმიანობის ავტომატიზება

2003 წელს გაგრძელდა „საქპატენტის“ ინფორმაციული და მართვის ერთიანი ახალი ავტომატიზებული სისტემის შექმნის სამუშაოები Oracle Database Server-ის (მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის) გამოყენებით. დამთავრდა სისტემის მათემატიკური უზრუნველყოფა. დღის წესრიგში დადგა შექმნილი პროგრამული პროდუქტის ექსპლუატაციის საკითხი, რაც რეალური ინფორმაციული კავშირების საბოლოო დაზუსტებასთან, მონაცემთა ბაზების ადმინისტრირებასა და პროგრამების დახვეწასთან არის დაკავშირებული. ამ სამუშაოს დროულად და სრულფასოვნად ჩატარების მიზნით:

– რეკონსტრუირებული ქსელის ბირთვი განლაგდა სპეციალურ სასერვერო დარბაზში, სადაც თავმოყრილია ქსელის ძირითადი კომპონენტები და შექმნილია საჭირო კლიმატური პირობები.

– სისტემაში ჩაირთო ერთი ცენტრალური 1 გბ-იანი და სამი 100მგბ-იანი კომუტატორი. ნაწილობრივ შეიცვალა საქსელო მოწყობილობათა სადენები. ჩატარებული სამუშაოების შედეგად ლოკალური ქსელის ყველა მომხმარებელს აქვს 100 მგბ-იანი წვდომა.

– შეიქმნა ე.წ. სასერვერო კომპლექსი სადაც განთავსდა თანამედროვე სერვერები და ცენტრალური საქსელო კომუტატორი. ეს ფართი სპეციალურად დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით და არის ტემპერატურის კონტროლის საშუალება. ახალ სერვერებზე დაინსტალირდა და შემოწმდა თანამედროვე ოპერაციული და მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები. კერძოდ Sun Fire 480 სერვერზე მოხდა Sun Solaris 9 ოპერაციული სისტემის დაყენება და გამართვა. შესაბამისად მოხდა 64 ბიტიანი Oracle 9i Database მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის დაინსტალირება და გამართვა. ჯამში ეს სამი კომპონენტი (64 ბიტიანი სერვერი, 64 ბიტიანი ოპერაციული სისტემა, 64 ბიტიანი მონაცემთა მართვის სისტემა) იძლევა მაღალ წარმადობას.

პროექტის სატესტო მოხმარებაში გაშვება მოხდება 2004 წლის მეორე კვარტალში.

## 3
## AUTOMATION OF ACTIVITIES

During 2003 works using Oracle Database Server (database management system) for creation of the informational and management integrated automated system were continued. Development of the system software was finished. Issue of exploitation of the created software product was put on the agenda that is connected with the final refinement of the real information links, administration of databases and improvement of the programs. In order to perform this work timely and valuably:

– Core of the reconstructed network was placed in the special server room, where the main components of the network are assembled and necessary climate conditions are created.

– A central 1gb commutator and three 100mgb commutators were switched in the system. Network hardware cables were partially changed. In result of the performed works all users of LAN have 100mgb access.

– The so-called server complex was created, where modern servers and a central network commutator were disposed. This space is specially protected by fire-prevention system and temperature control is possible. Modern operational and database management systems were installed and tested on the new servers. In particular, on Sun Fire 480 server Sun Solaris 9 operational system was installed and adjusted. Respectively 64byte Oracle 9i Database data management system was installed and adjusted. In total these three components (64byte server, 64byte operational system, 64byte data management system) give high efficiency.

In the second quarter of 2004 the project shall be launched in test exploitation.

Production of the CIS common CD-ROM disc began from 2002 and continues. Each month via Internet the informational massive



კიშინიოვი 2003 წლის დეკემბერი. საქპატენტის წამყვანი სპეციალისტები ეცნობიან მოლდოვას საპატენტო უწყების გამოცდილებას სამრეწველო ნიმუშების დაცვის სფეროში.

Chisinau, December 2003. Leading specialists of Sakpatenti share experience of Moldova Patent Office in the field of industrial designs' protection.

2002 წლიდან დაიწყო და გრძელდება დსთ ქვეყნების საერთო CD-ROM დისკის დამზადება. ყოველთვიურად ინტერნეტის გამოყენებით ვაგზავნიდით ინფორმაციულ მასივს, რომელიც შეიცავდა პატენტის სამენოვან რეფერატსა და აღწერილობას როგორც გამოგონებაზე, ასევე სასარგებლო მოდელზე. საპატენტო ინფორმაციის საერთო CD-ROM-ზე ჩაწერილ მასივებში ექსპერტებს პროგრამული კომპლექსის "MIMOSA"-ს გამოყენებით, საშუალება ჰქონდათ მოეძიათ სასურველი ინფორმაცია.

მომავალში დადგენილია საქპატენტის სრული ინფორმაციის განთავსება ერთ საერთო DVD დისკზე, რომელიც მოძიებადი იქნება "MIMOSA" სისტემის გამოყენებით.

was sent containing trilingual abstracts and descriptions of inventions, as well as utility models. Examiners were able to search for the desirable information in the patent information common CD-ROM massive by means of the software complex "MIMOSA".

In future full information of Sakpatenti shall be disposed on one common DVD disc that shall be searchable by means of "MIMOSA" system.



ეროვნული სემინარის მონაწილეთა ჯგუფი

Group of participants of the National Seminar.



ეროვნული სემინარი თემაზე: „განათლება და სწავლება ინტელექტუალური საკითხების სფეროში“. თბილისი 2003 წლის მაისი. ისმო-ს უფროსი იურიდიული მრჩეველი ბ-ნი სერგეი ზოტინი, ათენის უნივერსიტეტის პროფესორი ქ-ნი აირინი სტამატოუდი, ისმო-ს მსოფლიო აკადემიის დირექტორი ბ-ნი მპაზი სინჯელა, საქპატენტის გენერალური დირექტორი ბ-ნი დავით გაბუნია და საქართველოს პარლამენტის მეცნიერების, განათლების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი ნოდარ ამაღლობელი.

National Seminar on Intellectual Property Education and Training, Tbilisi, May 12-14, 2003. Mr. Serguei Zotine, Senior Legal Counselor, Division for Cooperation with Certain Countries in Europe and Asia, WIPO; Professor Irine Stamatoudi, University of Athens; Mr. Mpazi Sinjela, Director of the WIPO Worldwide Academy; Dr. David Gabinia, Director General of Sakpatenti; Mr. Nodar Amaglobeli, Chairman of the Parliament Committee of Science, Education, Culture and Sport.





გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ მსოფლიო სიმპოზიუმი. სანფრანცისკო 2003 წლის ივლისი. საქპატენტის გენერალური დირექტორი ბ-ნი დავით გაბუნია, კომპანია „ანჰოიზერ-ბუშის“ წარმომადგენელი ბ-ნი ფრენკ ჰელვიგი და საქპატენტის გენერალური დირექტორის მოადგილე ბ-ნი ზურაბ ნეფარიძე.

World Symposium on Geographical Indications, San Francisco, July 2003. Dr. David Gabunia, Director General of Sakpatenti, Mr. Frank Helwig, Representative of "Anheuser-Busch" and Mr. Zurab Neparidze, Deputy Director General of Sakpatenti.

# 4
# სტატისტიკური მონაცემები

# 4
# STATISTICAL DATA

**Tab. 1**

გამოგონებებზე, სასარგებლო მოდელებზე, სამრეწველო ნიმუშებისა და სასაქონლო ნიშნებზე წარმოდგენილი განაცხადები

APPLICATIONS FOR INVENTIONS, UTILITY MODELS, INDUSTRIAL DESIGN AND TRADEMARKS

| განაცხადები<br>APPLICATIONS | 2003 |
|---|---|
| **გამოგონებები**<br>**INVENTIONS** | |
| ადგილობრივი<br>Domestic | 194 |
| უცხოური<br>Foreign | 4 |
| საერთაშორისო<br>PCT | 167 |
| სულ<br>Total | 365 |
| **სასარგებლო მოდელები**<br>**UTILITY MODELS** | |
| ადგილობრივი<br>Domestic | 111 |
| უცხოური<br>Foreign | 1 |
| სულ<br>Total | 112 |
| **სამრეწველო ნიმუშები**<br>**INDUSTRIAL DESIGN** | |
| ადგილობრივი<br>Domestic | 23 |
| უცხოური<br>Foreign | 15 |
| ჰააგის ხელშეკრულებით | 35 |
| სულ<br>Total | 73 |
| **სასაქონლო ნიშნები**<br>**TRADEMARKS** | |
| ადგილობრივი<br>Domestic | 242 |
| უცხოური<br>Foreign | 314 |
| საერთაშორისო<br>PCT | 2161 |
| სულ<br>Total | 2715 |

განაცხადები გამოგონებაზე
**APPLICATIONS FOR INVENTIONS**




განაცხადები სასარგებლო მოდელებზე
**APPLICATIONS FOR UTILITY MODELS**




განაცხადები სამრეწველო ნიმუშებზე
**APPLICATIONS FOR INDUSTRIAL DESIGNS**




განაცხადები სასაქონლო ნიშნებზე
**APPLICATIONS FOR TRADE MARKS**



პატენტები გამოგონებებზე
**PATENTS ON INVENTIONS**




პატენტები სასარგებლო მოდელებზე
**PATENTS ON UTILITY MODELS**




პატენტები სამრეწველო ნიმუშებზე
**PATENTS ON INDUSTRIAL DESIGNS**




მოწმობები ნიშნებზე
**REGISTERED TRADEMARKS**




**Tab. 2**

პატენტების გაცემა და მოწმობების რეგისტრირება
GRANTS OF PATENTS AND REGISTRATION OF CERTIFICATES

| გაცემა და რეგისტრირება GRANTED AND REGISTERED | **2003** |
|---|---|
| პატენტები გამოგონებებზე PATENTS ON INVENTIONS | |
| ადგილობრივი Domestic | 120 |
| უცხოური Foreign | 162 |
| სულ Total | 282 |
| პატენტები მოდელებზე PATENTS ON UTILITY MODELS | |
| ადგილობრივი Domestic | 99 |
| უცხოური Foreign | – |
| სულ Total | 99 |
| პატენტები ნიმუშებზე PATENTS FOR INDUSTRIAL DESIGNS | |
| ადგილობრივი Domestic | 11 |
| უცხოური Foreign | 7 |
| სულ Total | 18 |
| მოწმობები ნიშნებზე REGISTERED TRADEMARKS | |
| ადგილობრივი Domestic | 149 |
| უცხოური Foreign | 382 |
| სულ Total | 531 |

**Tab. 3**

**2003**

განაცხადები სასაქონლო ნიშნებზე და მათი რეგისტრაცია

APPLICATIONS FOR TRADEMARKS AND THEIR REGISTRATION

| კოდი CODE | შეტანა FILED | კოდი REGISTERED |
|---|---|---|
| AE | 5 | 1 |
| AM | 3 | 1 |
| AT | 2 | – |
| AW | 3 | – |
| AZ | 4 | 1 |
| BG | 6 | 29 |
| BM | 2 | – |
| BR | 3 | 6 |
| CA | 3 | 4 |
| CH | 13 | 21 |
| CN | 4 | – |
| CU | 2 | – |
| CZ | 3 | – |
| DE | 12 | 26 |
| FR | 3 | 6 |
| GB | 19 | 17 |
| GE | 242 | 149 |
| GR | 9 | 3 |
| HR | 2 | – |
| HU | – | 3 |
| ID | 1 | 1 |
| IE | 2 | 3 |
| IR | 8 | 4 |
| IT | – | 2 |
| JP | 21 | 24 |
| KR | 13 | 3 |
| KY | 5 | 1 |
| LB | – | 2 |
| LU | 2 | – |
| MY | – | 4 |
| NL | 4 | 8 |
| PL | 5 | 2 |
| RU | 6 | 26 |
| SE | 1 | 1 |
| SG | 11 | 10 |
| TR | 18 | 3 |
| TW | 5 | 1 |
| UA | 11 | 1 |
| US | 93 | 148 |
| VG | 2 | 3 |
| ZZ | 7 | 17 |
| სულ Total | 517 | 531 |

**Tab. 4**

განაცხადები სასაქონლო ნიშნებზე

APPLICATIONS FOR TRADEMARKS

**2003**




სულ TOTAL **556**

ნიშნების რეგისტრაცია

REGISTERED TRADEMARKS

**2003**




სულ TOTAL **531**

**Tab. 5**

გამოგონებებზე განაცხადების განაწილება კლასების მიხედვით

BREAKING DOWN OF APPLICATIONS FOR INVENTIONS ACCORDING TO CLASSES

2003

| პსკ კლასები<br>ICP | სულ<br>TOTAL | პსკ კლასები<br>ICP | სულ<br>TOTAL | პსკ კლასები<br>ICP | სულ<br>TOTAL |
|---|---|---|---|---|---|
| A01 | 13 | B65 | – | F02 | 12 |
| A23 | 23 | C01 | 8 | F16 | 12 |
| A41 | – | C07 | 7 | F21 | 5 |
| A61 | – | C08 | – | F41 | – |
| A61 | 25 | C09 | – | G01 | 12 |
| B01 | 7 | C12 | – | G04 | 4 |
| B23 | 8 | C21 | 9 | G09 | – |
| B32 | – | D01 | 1 | G21 | – |
| B42 | – | E01 | 5 | H01 | 6 |
| B60 | 18 | E21 | – | H04 | 6 |

**Tab. 6**

სასაქონლო ნიშნებზე განაცხადების განაწილება კლასების მიხედვით

BREAKING DOWN OF APPLICATIONS FOR TRADEMARKS ACCORDING TO CLASSES

2003

| კლასები<br>ICGS | სულ<br>TOTAL | კლასები<br>ICGS | სულ<br>TOTAL |
|---|---|---|---|
| 1 | 14 | 24 | 3 |
| 2 | 6 | 25 | 10 |
| 3 | 32 | 26 | 4 |
| 4 | 12 | 27 | 3 |
| 5 | 170 | 28 | 10 |
| 6 | 3 | 29 | 32 |
| 7 | 10 | 30 | 76 |
| 8 | 7 | 31 | 7 |
| 9 | 43 | 32 | 60 |
| 10 | 10 | 33 | 65 |
| 11 | 12 | 34 | 40 |
| 12 | 36 | 35 | 44 |
| 13 | 2 | 36 | 14 |
| 14 | 5 | 37 | 17 |
| 15 | 3 | 38 | 24 |
| 16 | 40 | 39 | 23 |
| 17 | 4 | 40 | 15 |
| 18 | 4 | 41 | 34 |
| 19 | 11 | 42 | 24 |
| 20 | 6 | 43 | 19 |
| 21 | 11 | 44 | 11 |
| 22 | 2 | 45 | 3 |
| 23 | 2 | | |

## Tab. 7

გამოგონებებზე განაცხადების განაწილება კლასების მიხედვით

BREAKING DOWN OF APPLICATIONS FOR INVENTIONS ACCORDING TO CLASSES

### განაცხადები გამოგონებაზე
APPLICATIONS FOR INVESTIONS

**2003**



| | |
|---|---|
| DE | 9 |
| ES | 4 |
| FR | 6 |
| GB | 8 |
| GE | 194 |
| IN | 4 |
| US | 114 |
| ZZ | 26 |

სულ
TOTAL **365**

### პატენტები გამოგონებაზე
PATENTS ON INVENTIONS

**2003**



| | |
|---|---|
| DE | 12 |
| FI | 5 |
| FR | 10 |
| GB | 12 |
| GE | 120 |
| IT | 16 |
| US | 84 |
| ZZ | 33 |

სულ
TOTAL **282**

## Tab. 8

გამოგონებებზე განაცხადების განაწილება კლასების მიხედვით

BREAKING DOWN OF APPLICATIONS FOR INVENTIONS ACCORDING TO CLASSES

### პატენტები სამრეწველო ნიმუშებზე
PATENTS ON INDUSTRIAL DESIGN

**2003**



| | |
|---|---|
| AU | 2 |
| DE | 2 |
| GE | 11 |
| RU | 2 |
| US | 1 |

სულ
TOTAL **18**

## 5
## გამოგონებები

2003 წელს გამოგონებებზე (PCT განაცხადების გარდა) შემოვიდა 365 განაცხადი, ამასთან 194 განაცხადი ადგილობრივი, ხოლო 4 უცხოელი განმცხადებლისაგან.

PCT განაცხადების რაოდენობამ 2003 წელს შეადგინა 167.

გაცემულია 282 პატენტი: აქედან 162 უცხოელ, ხოლო 120 ადგილობრივ პატენტმფლობელებზე.

## 5
## INVENTIONS

In 2003 365 applications for inventions were filed with Sakpatenti (PCT not included), thereof 194 from the residents of Georgia and 4 from non-residents.

The number of International Applications PCT entering the national phase in the reported year is 167.

282 patents were granted, thereof 162 – to local and 120 to foreign patent owners respectively.

## 6
## სასარგებლო მოდელები

2003 წელს მოდელებზე შემოვიდა 112 განაცხადი, აქედან 1 უცხოელი განმცხადებლისაგან.

გაცემულია 90 პატენტი ადგილობრივ პატენტმფლობელებზე.

## 6
## UTILITY MODELS

In 2003 112 applications for utility models were filed, thereof 1 from a foreign applicant 99 patents were granted to local patent owners.

## 7
## სამრეწველო ნიმუშები

2003 წელს საქპატენტში სამრეწველო ნიმუშებზე 73 განაცხადი შემოვიდა: აქედან 23 ადგილობრივი, ხოლო 15 უცხოელი განმცხადებლისაგან.

35 განაცხადი შემოვიდა ჰააგის ხელშეკრულების საფუძველზე.

სამრეწველო ნიმუშებზე გაცემულია 18 პატენტი: აქედან 11 ადგილობრივ და 7 უცხოელ პატენტმფლობელებზე.

## 7
## INDUSTRIAL DESIGNS

In 2003 35 applications for industrial designs were filed, thereof from the local applicants 29 and from the foreign applicants 6 applications.

35 applications were filed on the basis of the Hague Agreement.

18 patents were granted, thereof 18 to local and 7 to foreign patent owners respectively.

## 8
## სასაქონლო ნიშნები

2003 წელს სასაქონლო ნიშნებზე საქპატენტში შემოვიდა 2715 განაცხადი. ადგილობრივმა და უცხოელმა განმცხადებლებმა სასაქონლო ნიშანზე, სათანადოდ 242 და 314 განაცხადი შემოიტანეს. მადრიდის პროტოკოლის მიხედვით შემოსულია 2161 განაცხადი.

სასაქონლო ნიშნებზე გაცემულია 531 მოწმობა: აქედან ადგილობრივ ნიშნის მფლობელებზე 149, ხოლო უცხოელებზე 382 მოწმობა.

საქართველოზე გავრცელდა 2543 განაცხადი.

## 8
## TRADEMARKS

In 2003 2715 applications for trademarks were filed, thereof from the local applicants 242 and from the foreign applicants 314 applications. 2161 applications were filed under the Protocol Relating to the Madrid Agreement Concerning the International Registration of Marks.

Sakpatenti issued 531 Certificates, thereof 149 to local and 382 to foreign owners respectively.

2543 applications were extended to Georgia.

საქართველოს
ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი
**„საქპატენტი“**

0179, თბილისი,
ი. ჭავჭავაძის I შესახვევი 6
ტელ: (995 32) 98-84-19
ფაქსი: (995 32) 98-84-26

გამოცემაზე პასუხისმგებელი:
ვ. გაგუა

მასალების თარგმნა:
თ. მარუაშვილი

დაკაბადონება:
ალექსი კახნიაშვილი

**© საქპატენტი**

Georgian
National Intellectual
Property Center
**"SAKPATENTI"**

0179, Tbilisi,
6, I. Chavchavadze, I Lane
Tel: (995 32) 98-84-19
Fax: (995 32) 98-84-26

Responsible for issuing
V. Gagua

Translated by
T. Maruashvili

Layout by
Alex Kakhniashvili

**© SAKPATENTI**